

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი თამაზ შილაკაძე მის სააპელაციო საჩივარში მოითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 3 ივლისის №1396/03 ბრძანების ბათილად ცნობას და განცხადებული სასაქონლო ნიშნის „Buitoni Piccolinis“ რეგისტრაციას განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად – „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.“

აპელანტი არ ეთანხმება უარის საძუფველს და მიაჩნია, რომ საერთო შთაბეჭდილებით დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდება ერთმანეთისგან და არ არიან აღრევამდე მსგავსი შემდეგ გრემოება გამო:

განცხადებული ნიშანი „Buitoni Piccolinis“ (IR 1123312) - კლასი 30: პიცა (pizzas).
დაცული ნიშანი „Piccolini“ (IR 1018120) - კლასი 30: ბრინჯი, ფქვილი და მარცვლოვანი პროდუქტი, პური, მაკარონის ნაწარმი, გალეტები, საფუარი, საცხობი ფხვნილები; მარილი, მღოვები; ძმარი, საკაზმები; სანელებლები; გაყინული მზა საჭმელები.

აპელანტი მიუთითებს, რომ ორივე სიმბოლო კომბინირებულია და შედგება როგორც სიტყვიერი ასევე, გამოსახულებითი ელემენტებისგან, განცხადებულ ნიშანში ორი სიტყვიერი ელემენტია „Piccolinis“ (პიკოლინის) და „Buitoni“ (ბიუტონი), დაცულ ნიშანში კი ერთი „Piccolini“ (პიკოლინი), აღსანიშნია, რომ ორივე ნიშანში გამოყენებული სიტყვიერი ელემენტი „პიკოლინის“ და „პიკოლინი“ სემანტიკური არსით ნიშნავს – „პატარას“, „მცირეს“, ჩვილს, და მიეკუთვნება ისეთ სიტყვათა ჯგუფს, რომლებიც ხშირად არის სასაქონლო ნიშნებში, როგორცაა „Best“, „Royal“, „Smart“, „Golden“ „Prime“ და სხვა, და შესაბამისად დაკარგული აქვთ განმასხვავებელუნარიანობა და ამიტომაც ვერ ჩავთვით „პიკოლინის“ და „პიკოლინი“ წარმოდგენილი სიმბოლოების მთავარ ელემენტებად, თუმცა მხედველობითი თვალსაზრისით აღნიშნულ სიტყვები განსხვავდება გრაფიკულად,

განცხადებული ნიშანში სიტყვიერი ელემენტი „Piccolinis“ წარმოდგენილია თეთრი ფერის, არათანაბარი მსხვილი ლათინური ანბანის ასოებით და განთავსებულია რკალისებურად, შუაში ამოზნექილი ფორმით, ხოლო დაცულ ნიშანში სიტყვიერი ელემენტი „Piccolini“ წარმოდგენილია შავი ფერის, ასევე, არათანაბარი ლათინური ანბანის ასოებით და განთავსებულია რკალისებურად, შუაში ჩაზნექილი ფორმით. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნიშნებს ერთმანეთისგან განასხვავებს, ისეთი დამატებითი ელემენტები, როგორცაა, განცხადებულ ნიშანში მეორე სიტყვიერი ელემენტი „Buitoni“ და მწვანე ფონი, მართკუთხედის ფორმის ჩარჩოში, დაცული ნიშანში კი არასრული ოვალი, შავი ზოლით, რომლის ქვედა ნაწილზე განთავსებულია სახლის და ხის სიმბოლური გამოსახულება. ასევე, გაცნობებთ, რომ განცხადებული ნიშანი განკუთვნილია, კონკრეტული საქონლისათვის, ესაა – პიცა, ხოლო დაცული ნიშანი კი უფრო მაკარონის ნაწარმისთვის, რაც კიდევ უფრო ამცირებს ნიშნების აღრევის შესაძლებლობას. ამგვარად, საერთო შთაბეჭდილებით დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდება ერთმანეთისგან.

აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ ორივე ნიშნის მფლობელი სამომხმარებლო ბაზარზე, მათ შორის საქართველოშიც, კარგად ცნობილი კომპანიებია, კომპანია „ნესტლეს“ და „ბარილას“ პროდუქცია დღეს თითქმის ყველა მარკეტშია წარმოდგენილი და ამგვარად, მომხმარებელი ნამდვილად შეძლებს ამ ორი მწარმოებლის საქონლის ერთმანეთისგან გარჩევას, გარდა ამისა, აპელანტი აღნიშნავს, რომ როგორც დართული მასალიდან ჩანს, მზა პროდუქტზე განთავსებულ ნიშანს „Piccolini“-ს თან ახლავს მფლობელის ლოგო „Barilla“ რაც კიდევ უფრო უადვილებს მომხმარებელს სასურველი მწარმოებლის სასურველი პროდუქტის არჩევის შესაძლებლობას ნიშნების აღრევის გარეშე.

დამატებით აპელანტი აღნიშნავს, რომ ორივე დაპირისპირებული ნიშანი რეგისტრირებულია შინაგანი ბაზრის ჰარმონიზაციის უწყებაშიც, რაც ნიშნავს, რომ ნიშნები თანაარსებობენ სამომხმარებლო ბაზარზე.

ყოველივე, ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი თვლის, რომ არ მოხდება ნიშნების აღრევა მომხმარებლის მხრიდან და შესაძლებელია მათი თანაარსებობა ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზეც, შესაბამისად, აპელანტი ითხოვს, სააპელაციო პალატამ დაკმაყოფილოს აპელანტის მოთხოვნა და მიენიჭოს დაცვა განცხადებული ნიშანს 30-ე კლასის განცხადებული საქონლისათვის.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო

საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 3 ივლისის №1396/03 ბრძანება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.“

განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Buitoni Piccolinis“ შესრულებულია ლათინური ანაბნის შრიფტით, ისევე როგორც დაპირისპირებული ნიშანი „Piccolini“. განცხადებული ნიშანი ორი სიტყვისაგან შედგება, ხოლო დაპირისპირებული ერთისაგან, თუმცა მიუხედავად ამისა ისინი არღევამდე მსგავსია, ვინაიდან განცხადებული ნიშნის მეორე სიტყვა „Piccolinis“ ფაქტიურად იდენტურია დაპირისპირებული ნიშნისა „Piccolini“. იტალიურ ენაზე სიტყვა „Piccolo“ აღნიშნავს - „პატარას, მომცროს“ (ABBYY Lingvo 12), „Piccolini“ წარმოადგენს „Piccolo“-ს კნინობით ფორმას და შინაარსობრივად მიუთითებს „პატარაზე“, განცხადებულ ნიშანში არსებული სიტყვა „Piccolinis“ აღქმული იქნება როგორც ამ სიტყვის მრავლობითი ფორმა. ამდენად, დაპირისპირებული ნიშნის სიტყვიერი ელემენტი მთლიანად შედის განცხადებულ ნიშანში და ერთი ასო-s გარდა („Piccolini-s“), რომელიც როგორც ზევით აღინიშნა მრავლობით რიცხვზე მიუთითებს. რაც შეეხება ნიშნების საქონლის ჩამონათვალს, ორივე ნიშანი განცხადებულია 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის. ასევე მსგავსია უშუალოდ საქონლის ჩამონათვლიც: განცხადებული ნიშნის რეგისტრაცია მოთხოვნილია 30-ე კლასის საქონლის „პიცის“ მიმართ, მაშინ როდესაც დაპირისპირებულს სხვა ჩამონათვალთან ერთად მითითებული აქვს „გაყინული მზა საჭმელები“, რაც თავის მხრივ ასევე შეიძლება მოიცავდეს განცხადებული ნიშნის საქონელს - „პიცას“.

ამასთან, კოლეგია თვლის, რომ იმდენად დიდია ნიშნების შორის მსგავსება, რომ ნიშნებში არსებული გამოსახულებითი ელემენტები და დამატებითი სიტყვა „Buitoni“ არ სძენს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას. ამდენად, აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშნების, მსგავსი საქონლის ჩამონათვლის მიმართ რეგისტრაციის შემთხვევაში, მათი ერთ სასაქონლო ბაზარზე თანაარსებობისას მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა მწარმოებლის მიმართ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ძალაში დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 3 ივლისის №1396/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და ისეღმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „სოსიეტე დეს პროდუიტს ნესტლე ს.ა.“ („Societe des Produits Nestle S.A.“) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 3 ივლისის №1396/03 ბრძანება.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ეგუტია

წევრები:

ე. ქემაშვილი

მ. ბაკურაძე